# „ეტალონი მოსწავლის“ ტიტულს გიორგი ხომერიკი და ლევან სიხარულიძე დაეუფლნენ



სოციალურ-საგანმანათლებლო მედიაპროექტ "ეტალონის" ფარგლებში დაბა ურეკში „ეტალონი მოსწავლის“ ტიტულის მოსაპოვებლად ერთმანეთს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სკოლის 21 მოსწავლე შეეჯიბრა. ფინალურ ტურში გამარჯვება სოფელ შრომის საჯარო სკოლის მოსწავლემ გიორგი ხომერიკმა მოიპოვა. გამარჯვებულს დიპლომი საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დარჩიამ გადასცა.

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტი სწორედ განათლების ხელშეწყობაა. ჩვენ დიდი სიამოვნებით ჩავერთეთ სოციალურ-საგანმანათლებლო მედია პროექტ "ეტალონში“, რომელიც განათლების სტიმულირებას უწყობს ხელს. განათლებული ახალგაზრდები კი ჩვენი ქვეყნის წარმატებული მომავლის გარანტია. ვულოცავ თითოეულ მონაწილეს, ისინი უკვე გამორჩეულები არიან თავიანთი ინტელექტითა და ცოდნით. გამარჯვებულ გიორგი ხომერიკს კი ვუსურვებ, დედაქალაქშიც სათანადოდ წარმოაჩინოს ჩვენი მუნიციპალიტეტი და საკუთარი შესაძლებლობები. მადლობა „ეტალონის“ შემოქმედებით გუნდს, ამ საჭირო და მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებისათვის.“ - აღნიშნა საკრებულოს თავმჯდომარემ **დავით დარჩიამ.**

ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის დრამატულ თეატრში გამართულ ეროვნულ ინტელექტ ჩემპიონატში კი, სადაც ქალაქის საჯარო სკოლების წარმატებული მოსწავლეები მონაწილეობდნენ, გამარჯვება ლევან სიხარულიძემ მოიპოვა. კონკურსის მონაწილეებს მიესალმა ქალაქ ოზურგეთის მერი **ბეგლარ სიორიძე:**

— „გილოცავ ლევან ეტალონი მოსწავლის სტატუსის მოპოვებას, მიხარია, რომ გაიმარჯვე, წარმატებებს გისურვებ და მჯერა, ქალაქი ოზურგეთი იამაყებს შენით. ქალაქის მერია „ლიდერთა სკოლის“ მოსწავლეებთან თანამშრომლობს, მე ვიცნობ ამ მოსწავლეების პოტენციალს და ვიცი მათი ხედვები, რომელსაც, მე როგორც ქალაქის მერი, ხშირად ვითვალისწინებ. მივიჩნევ, რომ ამ კონკურსში დამარცხებული არ არსებობს. მიგულეთ თქვენს გვერდით, მერია მზადაა თქვენს წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანოს.“




# ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №50 (10140), 21 დეკემბერი, 2015 წ. ფასი 50 თეთრი.


## ვაბრუნოთ „ალიონი“ და მიხვდებით, რატომ უნდა იყოს იგი ყველა ოზურგეთელის ოჯახში

— **„ალიონ-ი“** — ყველაზე ძირძველი მედიასაშუალება არა მხოლოდ ოზურგეთში, არამედ მთელ გურიაში, რომელიც არ ნადირობს სენსაციებსა და სკანდალებზე, რეალურ დროსა და რეალურ სივრცეში გაწვდით მხოლოდ და მხოლოდ რეალისტურ ინფორმაციებს, როგორც ქალაქ ოზურგეთის, ისე ოზურგეთის თემების მუნიციპალიტეტის ცხოვრებისეული სინამდვილიდან;

— **„ალიონ-მა“** — თავისი 85-წლიანი ისტორიით დაამტკიცა, რომ იგი ოზურგეთელთა არა მხოლოდ მემატიანე, არამედ უცვლელი ჭირისუფალია;

— **„ალიონ-ს“** — საჯაროდ გამოჰქონდა და გამოაქვს ადგილობრივი ლოკალური და გლობალური პრობლემები, იბრძოდა და იბრძვის უკეთესი ოზურგეთისათვის;

— **„ალიონ-ის“** — ტკივილია თქვენი ტკივილი და მისი სიხარულია თქვენი სიხარული;

— **„ალიონ-ით“** — შეგიძლიათ მიიღოთ განათლება, გადაწყვიტოთ თქვენი სოციალური პრობლემა, მიაღწიოთ წარმატებას, როგორც პოლიტიკურ ასპარეზზე, ისე ბიზნესსექტორში;

— **„ალიონ-ად“** — გრჩებათ არა მხოლოდ გაზეთი, არამედ ამ გაზეთიდან დანახული წლები, თვეები, დღეები;

— **„ალიონ-ო“**, — არ დაარღვიო ტრადიცია, კვლავაც იკისრე მეკვლეობის ისტორიული მისია და საახალწლოდ ბედნიერი ალიონი გაათენე ყველა ოზურგეთელის ოჯახში!

## რა შემთხვევაში შეიძლება შეექმნათ ლიხაურლებს საშიშროება?

**ალიონი.** ორგანიზაცია „ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება და ნარჩენების მართვა“ ახორციელებს ვადაგასული და გამოუსადეგარი ქლორის კონტეინერების და ბალონების განთავსების, აგრეთვე მათი სამარხების სავარაუდო ადგილმდებარეობის შესწავლას და აღრიცხვას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

პროექტის ფარგლებში დაწყებული საველე-საძიებო სამუშაოების შედეგად, სოფელ ლიხაურში, ყოფილი წყალმომარაგების ობიექტის ტერიტორიაზე, სადაც ამჟამად აფხაზეთიდან ლტოლვილების ოჯახი ცხოვრობს მცირეწლოვან ბავშვებთან ერთად, ერთ-ერთ შენობაში ნახეს თხევადი ქლორის 2 ცალი 50-ლიტრიანი ავარიული ბალონი, რომლებიც ათეული წლების უკან შეიტანეს წყალმომარაგების ობიექტზე.

ორგანიზაციამ „ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება და ნარჩენების მართვა“ამის შესახებ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურს აცნობა, რათა ქლორის ავარიული გაჟონვის შემთხვევაში თავიდან აიცილონ ის საფრთხე, რომლის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს ადგილობრივი მოსახლეობა და ბუნებრივი გარემო.

გაზეთმა „ალიონმა“ აღნიშნულზე კომენტარი ოზურგეთის თემების მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურის და ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროს სპეციალისტს **შოთა სარიშვილს** სთხოვა:

—ზემოთაღნიშნულმა ორგანიზაციამ შესაბამისი რეკომენდაცია მოგვაწოდა სოფ. ლიხაურში მაღალი საშიშროების ქლორის ავარიული ბალონების გაუვნებელყოფის შესაძლებლობის და გაჟონვის შემთხვევაში მოსახლეობის პირველად დახმარებასთან დაკავშირებით.

აღნიშნული ბალონები სოფ. ლიხაურში კვაჭალათის უბანშია და მასში ნამდვილადაა გარკვეული რაოდენობის ქლორი. ავარიული გაჟონვის შემთხვევაში საშიშ ზონაში მოხვდება რამდენიმე საცხოვრებელი სახლი, რაც საფრთხეს შეუქმნის ადგილობრივი მოსახლეობის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. მნიშვნელოვნად დაზიანდება ბუნებრივი გარემო. ბალონების მდებარეობის, რელიეფისა და ქარის სავარაუდო მიმართულების გათვალისწინებით გაჟონვის შემთხვევაში ქლორის ტალღამ შესაძლოა მიაღწიოს სოფ. ლიხაურის მჭიდროდ დასახლებულ ცენტრს, რაც კიდევ უფრო გაზრდის მოსალოდნელ საშიშროებას.

ისინი გვირჩევენ კონტეინერების გატანა მოხდეს სპეციალური საევაკუაციო კაფსულების საშუალებით. მისი გამოყენების შემთხვევში საჭირო იქნება მიმდებარე მოსახლეობის გაყვანა უსაფრთხოების ზონიდან დაახლოებით 20-30 წუთის განმავლობაში.

### რა არის ქლორი?

ქლორი არის მომწვანო-მოყვითალო ფერის აირი მკვეთრი გამაღიზიანებელი სუნით. ჰაერზე 2,5-ჯერ მძიმე. გროვდება



დაბალ ადგილებში, ჩაედინება სარდაფებში, მოძრაობს მიწის ზედაპირზე. აღიზიანებს ლორწოვან გარსს, კანს, სასუნთქ გზებს, თვალებს. იწვევს გულმკერდის მკვეთრ ტკივილს, მშრალ ხველებას, გულისრევას, კონდიციის მოშლას, ქოშინს, თვალების წვას, ცრემლდენას. მაღალი კონცენტრაციისას, შესაძლოა ფილტვების შეშუპება, გულის მუშაობის შეფერხება.

### ქლორის ავარიული გაჟონვის შემთხვევაში:

*დაუყონებლივ დატოვეთ საშიში ზონა (ქლორის ღრუბლის გადაადგილების) პერპენდიკულარული მიმართულებით:

* მოერიდეთ სარდაფებსა და სხვა ჩაღრმავებულ ადგილებს;

* უსაფრთხო ადგილებია მაღლობები და შენობის ზედა სართულები;

* უსაფრთხო ადგილზე გასვლის შემდეგ შეძლებისდაგვარად მოიცილეთ ქლორით გაჟღენთილი ტანსაცმელი;

* დაუყონებლივ დაუკავშირდით 112-ს;

* შენობაში ყოფნისას მოერიდეთ სარდაფს და დაბალ სართულებს;

* მჭიდროდ დახურეთ კარები და ფანჯრები, დაგმანეთ ხვრელები და ღრეჩოები;

* პერიოდულად გაასხურეთ ჰაერში წყალი;

* გათიშეთ ვენტილატორები და კონდიციონერები:

* დახურეთ სავენტილაციო სარკმელები და ლუკები;

* მოკლე დროით სასუნთქი გზების დაცვა შესაძლებელია სოდიანი წყლით დასველებული პირბადით;

* მოამზადეთ სასუნთქი გზების, კანისა და თვალების დამცავი საშუალებები.

## გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

— მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

— მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა — 150-150 ლარი;

— 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

— ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

— შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

— პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

— მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 15 ლარი;

— სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

— გახსენება, ნეკროლოგი — სიტყვა 15 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

*ახალი წლიდან ალიონის ფორმატი გაორმაგდა და 8 გვერდი გახდა. გამოდის ორშაბათობით*

**საცალო ფასი: 50 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით — 2 ლარი,**
**სამი თვით — 6 ლარი,**
**6 თვით —12 ლარი,**
**ერთი წლით — 24 ლარი.**

***გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.***

***ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.***

***რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.***

***რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.***

***გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.***

## სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
**nugzarasatiani@rambler.ru**
**558 499100**

*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
**tem52@mail.ru**
**599 373515**

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
**gia_77@mail.ru**
**551 576060**

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77



**დაიწყეთ ყოველი ორშაბათი ალიონზე**

**«ალიონით»**


# „წიგნი შეუცვლელი საგანძურია“



ა. (ა) ი. პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო-საბიბლიოთეკო გაერთიანებამ დღეს წლის შემაჯამებელი ღონისძიება გამართა.

„წიგნი შეუცვლელი საგანძურია“ ამ სახელწოდების ღონისძიებას სოფელ ლიხაურის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა უმასპინძლა.

სამუზეუმო - საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორმა რუსუდან მემარნიშვილმა დამსწრეებს სოფლის ბიბლიოთეკებში განხორციელებული აქტივობების შესახებ ანგარიში წარუდგინა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდა, ნიჭიერი მხატვრები და პოეტები გააცნო.

ღონისძიებას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე, საკრებულოს თავმჯდომარე და-ვით დარჩია, გამგებლის მოადგილეები: არჩილ ყაზაიშვილი, ბადრი გობრონიძე და კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის უფროსი ნატალია ხომერიკი დაესწრნენ.

— ეს იყო არაჩვეულებრივი ღონისძიება. გავიცანით ახალგაზრდა ნიჭიერი და მოტივირებული ახალგაზრდები, რომელთა მხარდაჭერისთვის მუნიციპალიტეტი ყოველთვის მზად იქნება. ჩვენ ასევე ვზრუნავთ სოფლის ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის განახლებაზე, რადგან წიგნი შეუცვლელია და სწორედ ასეთი აქტივობებით შეიძლება ახალი თაობის ლიტერატურით დაინტერესება, — აღნიშნა ოზურგეთის მუნიციალიტეტის გამგებელმა **მერაბ ჭანუყვაძემ.**


## განცხადებები

**ქალაქ ოზურგეთის ცენტრში იყიდება 400 კვ. მეტრი ფართის კეთილმოწყობილი საბანკეტო დარბაზი.**

**ქალაქ ოზურგეთში იყიდება ყველაზე კარგი სახლი. ტელ. 593 95 61 83**

**შევიძენ ბინას საცხოვრებელ კორპუსში. 577 60 11 88; 599 49 12 09.**


# მადლობა

ჩვენ ღვთივკურთხეულ ქვეყანაში სოფელი შემოქმედი ერთ-ერთი გამორჩეულია ისტორიული წარსულით, სილამაზით.

სოფელში, სადაც მრავალი ღვაწლმოსილი, დამსახურებული, კოლორიტი პიროვნება ცხოვრობდა, შრომობდა და მოღვაწეობდა, დღესაც ღირ-სეულად განაგრძობენ საქმიანობას უფროსი და ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები.

ამ შემთხვევაში განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო სოფლის მედიცინის მუშაკები, ახალგაზრდა ქალბატონები: ექიმები — ნინო გიორგაძე და ანა ლომინაძე, ასევე ირინა გეგიაძე და აზა გიორგაძე.

იმედისმომცემია მათი გულისხმიერი, თბილი, თავაზიანი დამოკიდებულება პაციენტებისადმი.

უღრმესი მადლიერებით მინდა მოვეფერო ამ ძვირფას ადამიანებს მათი პროფესიული, დაუზარელი, თავდაუზოგავი საქმიანობისთვის და ვუსურვო ყველაფერი საუკეთესო თავიანთ ლამაზ ოჯახებთან ერთად.

განსაკუთრებულად ბედნიერი ახალი წელი, შობა და კალანდა დაბედებოდეთ.

**გულნარა ვანიძე**

# ბათუმელი ნორჩი მხატვრების გამოფენა



გასულ ხუთშაბათს, 17 დეკემბერს, წმინდა ბარბარეს ხსენების დღეს, ქალაქ ბათუმის ნიკოლოზ კანდელაკის სახელობის სამხატვრო სკოლის პირველი საფეხურის მოსწავლეებმა ქალაქ ოზურგეთში, მერაბ ბერძენიშვილის სახელობის სახვითი ხელოვნების ცენტრში - სურათების გალერეაში გამოფენის რიგითობა „დაარღვიეს“ და თავიანთი 120-მდე ნამუშევრის ჩვენებით, ექსპრომტად მშვენიერი წინასაახალწლო განწყობილება შეუქმნეს ოზურგეთელ სახვითი ხელოვნების მოყვარულებს.

ბათუმელ ბავშვებს თან ახლდნენ მათი პედაგოგები, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოღვაწე ცნობილი ფერმწერები — ნოდარ შავაძე, გურამ ფუტკარაძე, გულნარა ფუტკარაძე, გელა აბულაძე, ანა ნიკოლაიშვილი, ნოდარ კვირკველია, მიხეილ კვაჭაძე და სხვები, რომლებმაც მოსწავლეთა გამოფენის კომპოზიციას ორიგინალური ელფერი შესძინეს დარბაზში, მოლბერტებზე თავიანთი ფუნჯით შექმნილი „ბეშუმის ეტიუდების“ განთავსებით.

გამოფენის მონაწილე ბათუმელი ნორჩი მხატვრები აქვე ქართულ პოეზიასაც „გადაწვდნენ“ და თეთრ გალერეაში ერთად აღაზევეს ქართული მხატვრობა და ქართული ლექსი.

გალერეაში, დღესაც, გამოფენის მეხუთე დღესაც ხალხმრავლობაა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ოზურგეთელებს მოსწონთ ბათუმელთა ნამუშევრები, აინტერესებთ მათი შემოქმედება, რომ აჭარელ და გურულ მხატვრებს შორის გადებული შემოქმედებითი ხიდი კიდევ უფრო მტკიცდება, დუღაბდება და ამ პროცესში აქტიურადაა ჩართული სამივე თაობის აჭარელი და გურული ხელოვანები.

# რეგიონალური მე-20 საიუბილეო ჩემპიონატი



16 დეკემბერს, ქალაქ ოზურგეთის სპორტის სასახლეში, ჭადრაკში გურიის 2015 წლის რეგიონალური მე-20 საიუბილეო ჩემპიონატი დაიწყო. ჩემპიონატში მონაწილეობას ოზურგეთის, ქ.ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის მუნიციპალური ჩემპიონები, პრიზიორები და ასევე რეგიონის მაღალრეიტინგული მოჭადრაკეები მონაწილეობენ.

სპორტდარბაზში, ჭადრაკში საიუბილეო ჩემპიონატის დაწყებას მიესალმნენ გურიის მხარის გუბერნატორის მოადგილე **გია ებრალიძე,** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია,** საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ხელმძღვანელი **ლელა საჯაია.**

გაიმართა კენჭისყრა. ჩემპიონატი დაიწყო. 5 ტურის შემდეგ 3,5-3,5 ქულით ლიდერობენ გივი ქორიძე (ჩოხატაური), ტარიელ ხუხუნაიშვილი (ლანჩხუთი), გივი სიამაშვილი (ოზურგეთი); 3 ქულა აქვს ოზურგეთელ გიორგი გოგოლაურს; ნუგზარ გვარჯალაძეს (ლანჩხუთი) 2,5 ქულა აქვს (მას ერთი პარტია არ უთამაშია).

# ოზურგეთელთა სამი ბრინჯაო

10-13 დეკემბერს ქალაქ ბათუმში ჩატარდა საქართველოს პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 23 წლამდე ასაკის სპორტსმენთა შორის. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობდა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტის გაერთიანებული ცენტრის ნაკრები გუნდი. მესამე ადგილები დაიკავეს: 71 კგ წონით კატეგორიაში — გიორგი ხუჭუამ (მწვრთნელები — ირაკლი და ზურაბ ზურაბიანები); 75 კგ წონით კატეგორიაში — გუგა კვერღელიძემ (მწვრთნელი — გურამ მაჭარაშვილი. კვერღელიძე ამჟამად ვარჯიშობს ქალაქ თბილისში უჩა მჟავანაძესთან) და 130 კგ წონით კატეგორიაში — სამუკა დარჩიამ (მწვრთნელი — ალექსანდრე ბოლქვაძე).

**თვალსაზრისი**

# ვინ შეიღებავს ჩემი სისხლით ხელებს?

როგორც დრო და ცხოვრება გვიჩვენებს, მსოფლიოში არის ქვეყნები, სადაც ე. წ. „არჩევნების“ ჩატარება ცინიზმი და დრომოჭმული თავხედობაა, რომლისგანაც დაზღვეული ვერ დარჩა ისეთი დემოკრატიის ჩირაღდანიც კი, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები.

ერთი შეხედვით, ძალზე უპასუხისმგებლო განცხადებაა, რომ არა თვით აშშ-ის ერთ-ერთი ყოფილი პრეზიდენტის (ჯერალდ ფორდის თუ ჯიმი კარტერის) მემუარები, რომელსაც, თურმე, აზრადაც არასდროს მოსვლია, გამხდარიყო შეერთებული შტატების პრეზიდენტი. მაგრამ მის მაგივრად სხვამ იფიქრა, იმ სხვამ, ვისაც ყველაზე უფრო აწყობდა, მათი რიგებიდან ერთ-ერთი გასულიყო ამ თანამდებობაზე.

აი, რას მოგვითხრობს ზემოთ ხსენებული მემუარები: „ერთ კვირა დღეს ჩემს რანჩოზე მოვიდნენ ამერიკის „ტვინის ტრესტის“ წარმომადგენლები. მოკლე აზრთა გაზიარების შემდეგ, მათ შორის რანგით უფროსმა თვალი თვალში გამიყარა და დამისვა შეკითხვა:

— სერ! გინდათ გახდეთ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი?

მოულოდნელობისგან პირი ღიად დამრჩა.

— ეს აბსოლუტურად სერიოზული შეკითხვაა, სერ! — დაუმატა მეორემ, რომელსაც მანამდე სიტყვა არ უთქვამს.

— რა თქმა უნდა... თანახმა ვარ, — ვუპასუხე.

— ამ შემთხვევაში ჩვენთან წამობრძანდით, — მითხრეს მათ.

სანამ ჩავიცვამდი, მანქანის კართან საპატიო „ყარაული“ მომიწყვეს. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ თავიანთი გამოცდილებითა და მდგომარეობით, ისინი იმ დონის ჩინოვნიკები იყვნენ, ზუსტად გათვალეს, მე მათთვის არა პრეზიდენტობის რიგითი კანდიდატი, არამედ უკვე განაღდებული პრეზიდენტი ვიყავი“.

მსგავსი რამ უცხო ხილი არც ჩვენთვის უნდა იყოს. როგორც ირკვევა, მხოლოდ აბსოლუტურად ზარმაცისთვის არ არის ცნობილი ის ფაქტი, რომ ბოლო 300 წელია მსოფლიოს მართავს სატანური საბანკო სისტემა (იშვიათი გამონაკლისით) ყოველგვარი პრეზიდენტებისა და პარლამენტარების გარეშე, რომლებიც სპეციალურად ჰყავთ შეყრილი ხალხის სამსჯავროზე ყურადღების გადასატანად, ხოლო ე. წ. „არჩევნებში“ მსოფლიო მასშტაბით მილიარდები ტრიალებს.

ახლა, რაც შეეხება ჩემ მიერ ნახსენებ „იშვიათი გამონაკლისს“:

პირველი აქედან ეროვნებით ქართველი იმპერატორი იოსებ ჯუღაშვილი იყო, რომელმაც შეძლო 50 წლით გადაერჩენინა გლობალიზაცია, მაგრამ დაბერებულმა ველარ გააკონტროლა სატანიზმი და წააგო არა მარტო სიცოცხლე, — საქმეც, რომელსაც კაცურად ემსახურებოდა.

მეორე და ჩემთვის ყოვლად გაუგებარი ის ზოგიერთი ქვეყანაა, სადაც ხალხი თავისი მიწა-წყლის აბსოლუტური ბატონ-პატრონია (ნორვეგია, შვედეთი, ფინეთი და ბევრი სხვ.). ამ ქვეყნებმა თავიანთი მიზანმიმართულობით, შრომისმოყვარეობითა და კულტურით, შეძლეს, შეექმნათ მიწიერი სამოთხე დედამიწის ყველაზე სუსხიან ადგილებში. კი, მაგრამ რაშია საქმე? რატომ ამ ქვეყნებზე ვერ ბატონობენ იმ სატანური საბანკო სისტემიდან? ვეჭვობ, რომ მათ ეშინიათ ამ არნახული სოლიდარობის მქონე ხალხის, რომელიც, რაიმე გართულების თუ სხვა საჭიროების შემთხვევაში, მოძებნის, მიაგნებს და მანთით ამოწვავს მათ „ბუდეს“.

ახლა ავიღოთ ეს ჩვენი უბედური „ღვთისმშობლის წილხვედრი“ ქვეყანა, რომელიც სიტყვებით ევროპასა და ამერიკას ეზმანება, ხოლო საქმით და ცხოვრების დონით გადახრუკულ ეკვატორულ გვინეასაც კი ჩამორჩება.

რატომ არავინ აპირებს, ჩაწვდეს თუ რა ფენომენთან გვაქვს საქმე???

როცა დღევანდელ „თავისუფალ“ საქართველოში უხეშად გააყალბეს შუალედური არჩევნები, რომელსაც არსებულ ხელისუფალთათვის არანაირი სტრატეგიული მნიშვნელობა არ ჰქონია, ადვილი წარმოსადგენია მომავალ საპარლამენტო არჩევნებში, როცა ხელისუფლებაში მათი ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგება, რა „ხამობაზე“ წავლენ...

ეს ყველაფერი მხოლოდ ჩემი სუბიექტური აზრია და შეიძლება არც თუ ისე ჯანსაღი, მაგრამ უბედურება ისაა, რომ უჯანსაღესი არ ჩანს, ხოლო თუ ვინმეს აქვს ასეთი აზრი, მაგრამ არ გვიზიარებს, ეს მეტი ცოდვა და დანაშაულია, განსაკუთრებით მომავალი საპარლამენტო არჩევნების წინ.

ნურავინ ფიქრობს, რომ ე. წ. „არჩევნების“ ბოიკოტირება ქვეყანას დააზარალებს, პირიქით, უმსგავსობის ლეგიტიმაცია დამთავრდება და ერთხელ და სამუდამოდ ქვეყანას ეშველება.

ისე, საინტერესოა, რომელი გაზეთი არ შეუშინდება არსებულ ყბადაღებულ „დემოკრატიას“ და დაბეჭდავს ამ წერილს, ანუ, როგორც იტყვიან, „ვინ შეიღებავს ჩემი სისხლით ხელებს“.

**გრამიტო (გერმანე) მამინაშვილი**

# „კარცენოგენური ნივთიერებები სიმსივნურ დაავადებებს, გონებრივი განვითარების შეფერხებებს იწვევს“

ნუგზარ ასათიანი



გაზეთი „ალიონი“ განაგრძობს შპს „ჯეოგადამამუშავებელის“ მიერ ქ. ოზურგეთში აკუმულატორების ჯართისა და ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს აშენების მოზანშეწონილობის შესახებ საზოგადოების და სპეციალისტების მოსაზრებებს.

შარშან, 26 დეკემბერს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შპს „ჯეოგადამამუშავებელის“ პროექტის საზოგადოებრივი განხილვა რომ არ შემდგარა, ამას ოზურგეთის თემების მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის განყოფილების უფროსი **გელა ჭანუყვაძეც** ადასტურებს.

–„შარშან, 21 ნოემბერს, ქ. ოზურგეთის ბასრის უბნიდან დარეკეს – უცნაური სუნი გვაწუხებს და სუნთქვა გვიჭირს. ოზურგეთის მანქანათმშენებელ ქარხანაში კვლავ ტყვიას უნდა ადნობდნენო. გამოძახებაზე გავედით მე და ქალაქის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი შუქრი გაბრიჩიძე. ქარხანაში გამგებლის ყოფილი მოადგილე კოტე სარიშვილი და გაზეთი „ალიონი“ მოვიდა. კარგად გახსოვთ, თავდაპირველად ქარხანაშიც არ გვიშვებდნენ. საბუთები შეგვიმოწმეს და ერთ-ერთ საამქროში, სადაც აკუმულატორების პლასმასის ნაწილებიდან ე.წ. „კროშკას“ ამუშავებდნენ, შეგვიშვეს, ხოლო იმ შენობაში, რომელზეც მოსახლეობა გვეუბნებოდა, ტყვიას ადნობენო, იმ მოტივით, რომ გასაღები „ჯეოგადამამუშავებელის“ დირექტორს ჰქონდა, ვერ შევედით. შევთანხმდით, მეორე დილით მივიდოდით და საამქროს დაგვათვალიე-რებინებდნენ. მეორე დილით, თქვენც იქ იყავით, საამქრო დაცლილი დაგვხდა.

**– ბატონო გელა, ადასტურებთ თუ არა, რომ ღამით საამქროში ტრაქტორით მიწის ზედა ფენა მოეხსნათ, რათა არ გვენახა დაღვრილი გოგირდმჟავას და ტყვიის ნადნობის კვალი?**

– თვითონ იქ იყავით და რა უნდა უარვყო. ჩვენ მაშინ შპს „მანსაროვის“ დამფუძნებლები ( ერვინ კუმარ შარმა, აშვანი მიტალი), ადგილზე ვერ ვნახეთ, ხოლო მათი წარმომადგენელი ( შპს „მანსაროვის“ დირექტორები ამან ბჰალა და ირმა თავაძე) სიტყვიერად გავაფრთხილეთ, რომ არ ეწარმოებინათ მოსახლეობისთვის საშიში საქმიანობა.

**– ვიცით, შეთანხმდით, რომ აკუმულატორების ახალი პარტიის მიღების შემდეგ დაგიკავშირდებოდნენ.**

– მათგან ზარი არ ყოფილა.

**– გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ვებ-გვერდზე წარმოდგენილია ქ. ოზურგეთში აკუმულატორების ჯართისა და ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს აშენების პროექტი, სადაც აღნიშნულია, რომ შარშან, 26 დეკემბერს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გაიმართა პროექტის საჯარო განხილვა.**

**– მუნიციპალიტეტში ამ პროექტის არანაირი განხილვა არ ყოფილა, არავის მივუწვევივარ.“**

**ანგული სარჯველაძე,** *ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის რადიობიოლოგიის განყოფილების ყოფილი მეცნიერ-თანამშრომელი, ქალაქ ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის ქიმიის მასწავლებელი:*

– „მოსახლეობას გარკვეულ პრობლემებს, დაბალხარისხიანი ეთილირებული ბენზინის გამონაბოლქვი უქმნის, რომელიც, მიუხედავად აკრძალვისა, შემოაქვთ საქართველოში. **ჩვენს პირობებში არაა წინაპირობა იმისა, ტყვიის გადამამუშავებელი საწარმო ისე მოეწყოს, რომ მოსახლეობა იყოს დაცული ტყვიის ნარჩენების მავნე მოქმედებისაგან. კარცენოგენური ნივთიერებები სიმსივნურ დაავადებებს, გონებრივი განვითარების შეფერხებებს იწვევს.**

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ოზურგეთში ეკოლოგიური მდგომარეობა გაუმჯობესდა. ერთის მხრივ, მაღაროთა სამმართველოს თიხის საფქვავი საამქროდან შეწყდა თიხის მტვერის გაფრქვევა და მეორეს მხრივ შეწყდა მინერალური სასუქების ჭარბი დოზებით გამოყენება.

არა მგონია, რეგიონის ხელისუფლებისთვის მომგებიანი იყოს მაღალი რისკების მქონე, ტყვიის გადამამუშავებელი საწარმოს ქალაქის ტერიტორიასთან ახლოს გამართვა.

**ოზურგეთი დიდ გათვლებს აკეთებს ტურიზმზე. უნდა დავთვალოთ, უარყოფით ეკოლოგიურ პრობლემებთან ერთად რა მოგებას მოუტანს ოზურგეთს ეს საწარმო და რა ზიანს მიყენებს ტურისტულ ინფრასტრუქტურას. მე გაზეთ „ალიონში“ წავიკითხე არასამთავრობო ორგანიზაცია „ორქისის“ დასკვნა იმის შესახებ, რომ მდინარე ბჟუჟში ტყვიის შემცველობა მაღალია. ეს ხომ უარყოფითად იმოქმედებს ურეკისა და შეკვეთილის წყალმომარაგებაზე, სადაც მომავალში ტურისტების ნაკადი მკვეთრად უნდა გაიზარდოს.**

**ტყვიის ნარჩენები ადვილად გადადის მცენარეებზე. ანდროფოგენური ფაქტორები ბიოტურ კავშირებთან ერთად (კვებითი ჯაჭვები) ადვილად ემორჩილება ტყვიის და მისი მარილების გავრცელებას.“**

გაზეთი „ალიონი“ სპეციალისტებთან ერთად ეცნობა შპს „ჯეოგადამამუშავებელის“ მიერ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში წარდგენილ პროექტს:

*(გაგრძელება) დასაწყისი იხილეთ №47-49*

წარმოდგენილი მასალების მიხედვით შპს „ჯეოკონის“ მიერ განხილული იქნა შპს „ჯეო გადამამუშავებელის“ აკუმულატორების ჯართისა და ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა-მონტაჟის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია და ექსპლუატაციის პირობები, ასევე შესწავლილ იქნა როგორც საწარმოს მოსაწყობად შერჩეული ტერიტორიის, ასევე მისი განთავსების მიკრორაიონის გარემოს არსებული ფონური მდგომარეობა; მოხდა გარემოზე შესაძლო ზეგავლენის წყაროების, სახეებისა და ობიექტების იდენტიფიცირება, ასევე მათი ზემოქმედების მასშტაბებისა და გავრცელების არეალის განსაზღვრა.

თუ დეტალურად განვიხილავთ მოცემულ ანგარიშს, თვალში საცემი ხდება პარამეტრების ჰიპოთეთურობა, რაც ხშირად არ ჯდება დადგენილ ნორმებში. „ჯეოკონს“ რეალურად არ აქვს შესწავლილი არც ტერიტორია და არც ის გარემო, სადაც განკუთვნილია საწარმოს ფუნქციონირება. წარმოდგენილ ნაშრომში არაა მითითებული მსგავსი საწარმოს ფუნქციონირების მაგალითი და არც მოდელირების საშუალებით დაზუსტებულ პარამეტრებზეა ლაპარაკი. განვიხილოთ უფრო დეტალურად

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებული იყო ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში გზშ-ის ანგარიშის წარდგენამდე მოეწყო მისი საჯარო განხილვა. ხოლო დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია გამოექვეყნებია, რაც არ განხორციელებულა, რასაც ადასტურებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროდან მიღებული ოფიციალური წერილი. ფაქტიურად დაირღვა წარმოდგენილი დოკუმენტის

2.2. მუხლით გათვალისწინებული პროცედურა – „ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების პროცედურა“.

მუხლი 4.5. **საწარმოს ადგილმდებარეობა და საქმიანობისათვის საჭირო შენობა-ნაგებობები** მტკიცება – ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნისათვის მოწყობილია წყალსადენ-კანალიზაციის ქსელი და ჩამდინარე წყლები ჩართულია ყოფილი საწარმოს ლოკალურ გამწმენდ ნაგებობაში, რომელიც თავის მხრივ ჩართულია ქალაქის საკანალიზაციო კოლექტორში. არსებული წყალსადენ-კანალიზაციის ქსელი ამჟამად ფაქტიურად არ ფუნქციონირებს, (მილები მიწიდან ამოღებულია) და საჭიროებს სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარებას **არ შეესაბამება სინამდვილეს.**

საკვლევი ტერიტორია არ არის გამწვანებული, ნაწილობრივ გამოყენებულია ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესებისათვის (მ.შ. 4 ჰექტარი სიმინდის ნათესები). ეწინააღმდეგება წინა მუხლებში მოცემულ მტკიცებას, რომ ტერიტორიაზე **ჰუმუსოვანი ფენა არ არსებობს.**

4.6 მუხლში მოცემული პირობა ვადაგასული აკუმულატორების გადამუშავების დღეისათვის არსებული და მოქმედი ტექნოლოგიები ემყარება სამ ძირითად სტადიას:

1. აკუმულატორების გახსნა და დაშლა;
2. ტყვიის აღდგენა;
3. ტყვიის გასუფთავება-რაფინირება. არასრულია და მასში არაა მსჯელობა გამოყენებულ და გამოუყენებელ ქიმიურ მჟავებსა და ტუტეებზე. მათი გამოყენების შედეგად წარმოქმნილ ნარჩენებზე და მათ განთავსებაზე.

4.6.1.4.1. გამწმენდი სისტემის კომპონენტების მუშაობის პრინციპის განხილვისას **არაა წარმოდგენილი სხვა სახის გამწმენდი ნაგებობა და არაა დასაბუთებული მსგავსი გამწმენდის დაყენების მართებულობა.**

პუნქტში 4.6.3. საწარმოს წყალმომარაგება და ჩამდინარე წყლების არინება წარმოდგენილი წყლის რაოდენობები არ შეესაბამება ამჟამად არსებულ ნორმებს.




პუნქტი 4.6.3.2. ჩამდინარე წყლების არინება – დგინდება, რომ დოკუმენტის შემდგენლები არ იცნობს ოზურგეთის კანალიზაციის სისტემას და აბზაცი საწარმოს რეკონსტრუქციის პროექტის მიხედვით, მოეწყობა საწარმოს დამოუკიდებელი საკანალიზაციო სისტემა და სამეურნეო-ფეკალური და საწარმოო-სანიაღვრე ჩამდინარე წყლები ჩაერთვება ყოფილი საწარმოს ლოკალურ გამწმენდ ნაგებობის რეკონსტრუქცის შედეგად მოწყობილ 50 მ3 საასენიზაციო ორმოში, საიდანაც სპეცმანქანით ამოღებული სითხე ჩაშვებული იქნება ქ. ოზურგეთის საკანალიზაციო კოლექტორში – განუხორციელებელია, ხოლო მისი განხორციელებით დაირღვევა ეკოლოგიური წონასწორობა, რადგან დაბინძურდება მდინარეები და შავი ზღვის სანაპირო ზოლი, რადგან ოზურგეთს საკანალიზაციო სისტემა და გამწმენდი ნაგებობა არ გააჩნია..

**P.S**

**რედაქცია ცდილობს დაანახვოს ხელისუფლებას ქალაქის ტერიტორიაზე ტყვიის გადამამუშავებელი საწარმოს აგების მაღალი რისკები. ადგილობრივი მუნიციპალიტეტების პასიურობის გამო, არსებობს საშიშროება იმისა, რომ შპს „ჯეოგადამამუშავებელის“ სავარაუდო ლობი ზეგავლენას მოახდენს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შესაბამის სამსახურზე და „ჯეოგადამამუშავებელს“ ლიცენზია მისცენ საქმიანობის დასაწყებად.**

# ფერმიდან სუფრამდე



№ 4 .11. 2015

**სპეციალური ჩანართი სურსათის უვნებლობის შესახებ**



## რამდენად სანდოა წარწერა ,,დიეტური" - მომხმარებელზე ზრუნვა, თუ მოტყუება

ნატო გუგელაძე, გაზეთი „P. S ქუთაისი"

მარინა გ. რამდენიმე წელია დიაბეტით დაავადებულია და ყოველთვის ცდილობს, მაღაზიაში ისეთი პროდუქტი შეიძინოს, რომელსაც ეტიკეტზე „დიაბეტური" ან „დიეტური" აწერია, თუმცა სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევები, როდესაც მითითებული წარწერის მიუხედავად, სრულიად სხვა შემადგენლობის პროდუქტთან გვაქვს საქმე.

კვების პროდუქტების სახელწოდებაში, ან პროდუქტების სამომხმარებლო შეფუთვის ნიშანდებასა და სარეკლამო ფურცელ-ჩანართებში ტერმინების - „დიეტური", „სამკურნალო" ან მათი ექვივალენტების გამოყენება აკრძალულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ნებართვის გარეშე (,,სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარიული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს №301/ნბრძანებისმე-4 თავისმე-14 პუნქტი).

ამჟამად საქართველოში ასეთი ნებართვა სულ 6 პროდუქტზეა გაცემული. ესენია:

1. სპეციალური შოკოლადი ,,ბარამბო" (შპს ,,ბარამბო") - „დიაბეტური". 2. უშაქრო ლიმონათი „ზედაზენი" (სს ,,ქართული ლუდის კომპანია") - „დიაბეტური", „დიეტური"; 3. პური „დიაბეტური" (შპს „თბჯგუფი") - „დიაბეტური"4. უალკოჰოლო გაზიანი სასმელი ,,ნექტარი" (შპს ,,ნექტარი") - „დიაბეტური"; 5. პური „ამარანტი" (შპს „პურიჩვენიარსობისა") - „დიეტური, დიაბეტური"; 6. პური „დიაპური" (შპს ,,პური") - „დიაბეტური, დიეტური".

ეს ჩამონათვალი იმას ნიშნავს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ამ პროდუქტების გარდა, სხვა ნებისმიერ პროდუქტს, როგორი მიმზიდველი ტექსტიც არ უნდა ეწეროს, თითქოსდა იმის დასტურად, რომ ის „დიეტურია", ანდა „დიაბეტური", მისი ნამდვილობის დასადგენად, უნდა გადავამოწმოთ, არის თუ არა პროდუქციაზე გაცემული სახელმწიფო ნებართვა.

პირადად მე ამ სტატიაზე მუშაობისას მხოლოდ ერთ მაღაზიაში - „ნიკორა", რომელიც გლდანში მდებარეობს, დაახლოებით ექვსი პროდუქტი აღმოვაჩინე „დიეტური"- ს წარწერით, რომელიც ჯანდაცვის სამინისტროს სიაში არ ფიგურირებს! მაგალითად, პური „მხნეობა", დიეტური," ზებოს ლავაში", დიეტური, პური „მარგებელი" დიაბეტური-დიეტური, დიეტური ორცხობილა "იმერიონი", „ნიკორა"-ს ორნაირი დიეტური ძეხვი.

მაღაზიის კონსულტანტი დიდი თავმოწონებითა და სიამაყით მაწვდიდა „დიეტური"-ს წარწერიან ყველა პროდუქტს და მეხოდიშებოდა კიდეც, ახლა ყველაფერი არ გვაქვს, საერთოდ კი , უფრო მრავალფეროვანი დიეტური პროდუქცია გვაქვს ხოლმე და ცალკე კუთხეცაა ზოგჯერ ამისთვის გამოყოფილიო. სამწუხაროდ, მისთვისაც არ იყო ცნობილი ის ფაქტი, რომ წარწერა „დიეტური"ან „დიაბეტური" მხოლოდ სპეციალური ნებართვის მიღების შემდეგ უნდა დააწეროს პროდუქტზე მწარმოებელმა და რომ „ნიკორას" ძეხვზე წარწერა „დიეტური" ნებართვის გარეშეა დატანილი.

რამდენიმე კვირის წინ „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდს" მომხმარებელმა მიაწოდა ინფორმაცია სამი პროდუქტის შესახებ, რომელთაც, სავარაუდოდ, ტერმინი „დიეტური" უნებართვოდ ეწერა: „ნიკორას" ძეხვი „დიეტური"; ლიტვური საცხობის „გერმანული დიეტური პური"; ლიტვური საცხობის ჭვავის პური „სვეიკატა (დიეტური)". ამ უკანასკნელის აღწერილობაში მითითებული იყო, რომ პური რეკომენდებულია დიაბეტიანთა კვებისათვის.

სავარაუდო დარღვევის შესახებ ფონდმა შეტყობინება გაუგზავნა როგორც მეწარმეებს, ისე სურსათის ეროვნულ სააგენტოს. ფონდის მიმართვის პასუხად, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ შეამოწმა და შესაბამისი ნებართვის არქონის გამო, დააჯარიმა "ნიკორა" და შპს "ელთი დისტრიბუცია" (ლიტვური საცხობი), ხოლო ჯანდაცვის სამინისტრომ ვებ გვერდზე განათავსა იმ პროდუქტების ჩამონათვალი, რომელთა ეტიკეტზეც "დიეტური", "სამკურნალო" ან ექვივალენტური ნიშანდების დატანის ნებართვაა გაცემული. ასევე, ლიტვურმა საცხობმა შეცვალა ეტიკეტი პურ "სვეიკატაზე", რომელსაც დიეტური აღარ აწერია.

გარდა ამისა, „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის" პარტნიორმა ორგანიზაციამ, „ქუთაისის მომხმარებელთა ცენტრმა," საცალო ქსელში აღმოაჩინა ლიმონათები, სახელწოდებით „წყალტუბო" (მწარმოებელი: ინდმეწარმე დევდარიანი) და „9+მადლი" (მწარმოებელი: ინდმეწარმე ნიკოლაძე), რომელთა ეტიკეტებზე დატანილი იყო წარწერა „დიეტური". დარღვევის თაობაზე ქუთაისის მომხმარებელთა დახმარების ცენტრმა მიმართვა გაუგზავნა ლიმონათ „წყალტუბოსა" და "9+მადლის" მწარმოებლებს. ინფორმაცია ასევე მიეწოდა სურსათის ეროვნულს ააგენტოს.სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ფონდის შეტყობინების საფუძველზე გატარებული ინსპექტირების შედეგად დადასტურდა, რომ ლიმონათ "წყალტუბოსა" და "9+მადლის" ეტიკეტებზე წარწერა „დიეტური" უნებართვოდ იყო დატანილი. ორივე უალკოჰოლო სასმელის მწარმოებელი 400 - 400 ლარით დაჯარიმდა.

სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის დეპარტამენტის უფროსის, კახა სოხაძის განცხადებით, სააგენტოს წარწერა „დიეტურის" კანონიერების საკითხთან დაკავშირებით ამ ეტაპისთვის შემოწმდა 13 ორგანიზაცია, რომელთაგან 6 მათგანს ყველაფერი კანონის დაცვით აქვს მოწესრიგებული, ხოლო 7 კომპანია დაჯარიმებულია და მათზე მიმდინარეობს პერმანენტული კონტროლი, რომ ან გონივრულ ვადაში შესაბამისი წესების დაცვით, აიღონ ნებართვა ჯანდაცვის სამინისტროში, ან წარწერით „დიეტური" აღარ გაყიდონ პროდუქცია.

ჯანდაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის რეგულირების სამსახურის მთავარი სპეციალისტი მარინა ზაიდაური ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, რომ სამინისტროში მკვეთრად გაიზარდა მომართვიანობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. დღეში დაახლოებით ხუთ კომპანიას ვუწევთ კონსულტაციას, თუ რა დოკუმენტაციაა წარმოსადგენი იმისათვის, რომ პროდუქტზე გაიცეს „დიეტური" ან „დიაბეტური" წარწერის ნებართვა. ძირითადად ხორც პროდუქტების, პურის, ნაყინისა და საბავშვო პროდუქტების მწარმოებელთა ინტერესია გაზრდილი.

„აქამდე არანაირი კონტროლი არ ხორციელდებოდა ამ საკითხზე და არც არავინ ჯარიმდებოდა.

(გაგრძელება შემდეგ გვერდზე.)

ინტერვიუ

## სურსათის უვნებლობის კონტროლი მომხმარებლის ხელშია

ნაზი მეშველიანი, წალკა

**გასაყიდ ადგილებში სურსათის შენახვის ჰიგიენური პირობები ხშირად კრიტიკას ვერ უძლებს. ვიდრე პროდუქტს შეიძენს, მყიდველი კარგად უნდა დააკვირდეს სავაჭრო ობიექტში არსებულ ვითარებას, რამდენად სუფთა გარემოში ხდება მისი გაყიდვა და სწორად შეაფასოს საფრთხე, რომელიც ხშირად ჩვენს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ემუქრება.**

მყიდველთა უმეტესობას, განსაკუთრებით რეგიონებში, არჩევანი არ აქვს, თითქმის ყველგან დარღვეულია ჰიგიენის პირობები. რა გამოსავალს გვთავაზობენ ექსპერტები, რა პრევენციული ზომები შეიძლება მიიღონ სახელმწიფო უწყებებმა და რა პასუხისმგებლობა გვაკისრია ჩვენ, მომხმარებელს, ამ თემაზე ვესაუბრეთ სურსათის უვნებლობის სფეროს ექსპერტს ეკატერინე ბურკაძეს.

- დარწმუნებული ვარ, რომ არსებული ვითარების გამოსწორების ბერკეტები მართლაც არის მომხმარებლების ხელში. ნებისმიერი პროდუქტის და, განსაკუთრებით , ცხოველური წარმოშობის სურსათის : (ქათამი, თევზი, ხორცი, ყველი, კვერცხი და სხვა) შეძენის შემთხვევაში, აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება სავაჭრო ობიექტის მდგომარეობას.

დაცული უნდა იყოს ჰიგიენის მოთხოვნები, პროდუქტი სათანადო ტემპერატურაზე უნდა ინახებოდეს მაცივარში, არ უნდა შეიმჩნეოდეს მავნებლების - ბუზების არსებობა. სავაჭრო ობიექტში უნდა ეკიდოს მწერსაჭერი ლამპა ბუზებისაგან თავის დასაცავად. კარი აუცილებლად დაკეტილი, ან დაცული უნდა იყოს სილიკონის ფარდით და ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 20-25ºC. ობიექტზე უნდა იყოს ცხელი და ცივი წყლის მომარაგება, რათა პერსონალმა დაიცვას ხელების დაბანის წესი. ინვენტარის ჰიგიენის დასაცავად.მაღაზია არ უნდა იყენებდეს ხის დაფებს, კუნძებსა და ხის ტარიან დანებს, ისინი ადვილად არ ირეცხება და ვერ უტარდება დეზინფექცია.

- როგორ რეგულირდება ბაზარზე სურსათის უვნებლობის საკითხი, ვინ არის პასუხისმგებელი სურსათის უვნებლობაზე?

- პასუხისმგებლობა სურსათის უვნებლობაზე ეკისრება ბიზნესოპერატორს და თავისი საქმიანობის ფარგლებში იგი ვალდებულია უზრუნველყოს სურსათის უვნებლობა წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ყველა ეტაპზე. ხოლო ბაზარზე განთავსებული სურსათი უნდა აკმაყოფილებდეს სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს.

დაუშვებელია მავნე სურსათის ბაზარზე განთავსება, თუ იგი საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

სფეროს არეგულირებს შემდეგი ძირითადი დოკუმენტები : სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი და საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის #173 დადგენილება, კერძოდ მე-2 დანართი - სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ზედამხედველობის, მონიტორინგისა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესი.

სურსათის უვნებლობის კონტროლი წარმოადგენს სახელმწიფო კონტროლის ერთ-ერთ სახეს, რომელიც ხორციელდება სურსათის უვნებლობისა და ეტიკეტირების განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად. სურსათის უვნებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მექანიზმებია: ინსპექტირება, მონიტორინგი, ზედამხედველობა, დოკუმენტური შემოწმება, სურსათის ნიმუშის აღება.

საქართველოში სურსათის უვნებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებული სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო.

(გაგრძელება შემდეგ გვერდზე)

სახარბებლო რჩევები

## შეიძინეთ შემოწმებული ხორცი!

გაითვალისწინეთ, რომ საქონლის ხორცით ადამიანზე შეიძლება გადავიდეს ისეთი დაავადებები, როგორიცაა ტუბერკულოზი, ბრუცელოზი, ციმბირის წყლული, ჯილეხი, თურქული და ხორცის სისხლსა და ქსოვილებში მყოფი პარაზიტები. ამიტომ დაბეჯითებით გირჩევთ, შეიძინოთ მხოლოდ ისეთი ხორცი, რომელმაც ვეტერინარული შემოწმება გაიარა!

არის შემთხვევები, როცა უკონტროლო ადგილებში გასაყიდად არა დაკლული, არამედ საკუთარი სიკვდილით დალუპული ცხოველის ხორცი გამოაქვთ. არავითარ შემთხვევაში არ შეიძინოთ ასეთი ხორცი!

პირველ რიგში იმიტომ, რომ დიდია დაავადებების შეძენის რისკი. გარდა ამისა, ასეთი ხორცი არ არის დაცლილი სისხლისგან და ამიტომ ძალიან მალე ფუჭდება.

საკუთარი სიკვდილით დალუპული საქონლის ნიშნებია:

• ჩალურჯებული ადგილები (სისხლისჩაქცევები) ხორცში - ისინი შეიძლება იმის ნიშანი იყოს, რომ ცხოველი ტრამვით დაიღუპა;

• ხორცზე რაიმე საგნის დაჭერისას წარმოქმნილი ორმო სისხლით ივსება - ეს იმის უტყუარი ნიშანია, რომ დაკვლის დროს ნაკლავის სისხლისაგან დაცლა არ მომხდარა.

• არ იყიდოთ ხორცი, რომელსაც რამდენჯერმე გალღობა/გაყინვის ნიშნები შეინიშნეთ

• მოერიდეთ ხორცს, რომელიც ზაფხულის ცხელ დღეებში მაცივრის გარეშე ინახება;

• ბაზარში ხორცის შეძენისას ყურადღება მიაქციეთ ვეტერინარული სამსახურის ნიშნის არსებობას.

წყარო: www.momxmarebeli.ge

ფერმიდან სუფრამდე

სპეციალური ჩანართი სურსათის უვნებლობის შესახებ

# დაავადებული საქონლის განკურნება ბევრად უფრო ძვირია, ვიდრე აცრა

დავით გურული, გაზეთი „გურიის მოამბე„

ზურაბ ქათამიძე, მეუღლესთან ერთად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გურიანთაში ცხოვრობს. დაახლოებით ერთი თვის წინ, მისმა მეუღლემ შენიშნა, რომ, მის ხბოს გარკვეული პრობლემები ჰქონდა. დიაგნოზის დასასმელად ცოლ-ქმარი სოფლის ვეტექიმს, მანანა გულბიანს დაუკავშირდა. ვეტექიმმა საქმეში „სურსათის ეროვნული სააგენტოს" გურიის ოფისი ჩართო. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი პასტერელოზით დაავადებული აღმოჩნდა.

როგორც ოჯახის დიასახლისი იხსენებს, ხბოს გადარჩენა მკურნალობის დაგვიანებით დაწყების გამო ვერ მოხერხდა, თუმცა, სააგენტოს წარმომადგენლებმა ყველა საჭირო რეკომენდაცია გასცეს, მდგომარეობის გართულების თავიდან ასაცილებლად.

„მართალია პირუტყვი მოკვდა, მაგრამ სააგენტოს დახმარებით თავიდან ავიცილეთ დიდი უბედურება. იმ შემთხვევაში, მე რომ უწყებისათვის არ მიმემართა და სპეციალისტების რეკომენდაციით, შესაბამისი ზომების მიღება არ დამეწყო, დაავადება ჩვენს სხვა საქონელზეც გადასულიყო და მეტიც, ეპიდემია ჯერ უბანს, შემდეგ კი სოფელს მოსდებოდა,"-იხსენებს ქათამიძე .

პასტერელოზის, იგივე ბოლმა, ინკუბაციური პერიოდი ხანმოკლეა. გრძელდება რამდენიმე საათი, ანდა სამი დღე. მიმდინარეობს ზემწვავე და მწვავე ფორმით, აღინიშნება დაავადების ქვემწვავე და ქრონიკული ფორმაც. ზემწვავე ფორმის დროს კლინიკური ნიშნები გამოხატული არ არის, ცხოველი სწრაფად კვდება მაღალი ტემპერატურით. მწვავე ფორმის დროს მსხვილ რქოსან პირუტყვს უზიანდება ნაწლავები და სასუნთქი ორგანოები, ვითარდება შეშუპება კისრისა და ყბის მიდამოში. დაავადებულ ცხოველს აღენიშნება მოდუნება, ცხვირიდან ჩირქოვანი გამონადენი, კონიუქტივიტი. თუ დაავადებულ ცხოველს მკურნალობა დროზე არ ჩაუტარდა, სწრაფად კვდება.

ექსპერტები განმარტავენ, რომ პასტერელოზი ლეტალობით მაშინ მთავრდება, როდესაც ძალიან დაგვიანებული, ანდა არაეფექტური მკურნალობაა ჩატარებული. პასტერელოზზე აუცილებელია ჩატარდეს ვაქცინაცია, თუმცა იმის გამო, რომ სახელმწიფო მსგავსი ტიპის დაავადებების პრევენციას არ აფინანსებს, მძიმე შედეგების თავიდან აცილება ფერმერის პასუხისმგებლობაა.

აუცრელი ცხოველების დაავადების რისკი 90% - ია და დაავადებულის განკურნება ბევრად ძვირი ჯდება, ვიდრე მისი წინასწარ აცრა.

მიუხედავად იმისა, რომ ცხოველის სამკურნალოდ მედიკამენტოზური მკურნალობა გამოიყენეს, სამედიცინო ჩარევა უკვე დაგვიანებული აღმოჩნდა. ეს ნაბიჯი კი მხოლოდ დაავადების ლოკალიზებისათვის აღმოჩნდა საკმარისი.

ქათამიძეების ოჯახი სურსათის ეროვნულ სააგენტოს სხვადასხვა მიზეზთა გამო ხშირად მიმართავს. უწყების გურიის ოფისთან ხელშეკრულების საფუძველზე არაერთი ვეტერინარი თანამშრომლობს.

ოზურგეთს და ჩოხატაურს ექვსექვსი ვეტექიმი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს კი 8 ვეტექიმი ემსახურება. სწორედ ეს ვეტექიმები აწვდიან ინფორმაციას სააგენტოს.

სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში



უწყების სპეციალისტები წლის განმავლობაში ხუთ ფართომასშტაბიან ღონისძიებას ახორციელებენ, სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის ოფისის ინფორმაციით, მხარეში 50 ათასამდე მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი, 30 ათასამდე კატა და ძაღლია აღრიცხული. სააგენტოში განმარტავენ, რომ რეკომენდაციის მიწოდებისათვის მზად არიან. მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის ოფისში 16 თანამშრომელი მუშაობს. როგორც უწყების ექსპერტები გვიხსნიან, მოსახლეობის ყურადღება, განსაკუთრებით, გაზაფხულის მიწურულსაა აუცილებელი, რადგან ამ დროს, მეჯოგეები დიდი რაოდენობით მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს სამთო იალაღებისაკენ მიერეკებიან და ტრანზიტულ სოფლებში დაავადებებისა და, შესაბამისად, ეპიდემიების გავრცელების რისკი მატულობს.

სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის ოფისის ხელმძღვანელი კახა თავბერიძე აცხადებს, რომ სააგენტო ნებისმიერი პრობლემის შემთხვევაში, მომხმარებლის დახმარებისათვის მზადაა.

გაითვალისწინეთ, რომ ხბოს დაბადებისთანავე, დარეკოთ სურსათის ეროვნულ სააგენტოში, რათა მოხდეს ხბოს იდენტიფიკაცია, საყურე ნიშნის დადება და უფასო ვაქცინაცია. იმ აცრების თაობაზე, რაც სახელმწიფო პროგრამაში არ შედის, ინფორმაცია უნდა მიიღოთ ვეტერინარისგან და მის ჯანმრთელობაზე თავად ფერმერმა უნდა იზრუნოს.

სურსათის ეროვნული სააგენტოს ცხელი ხაზის ნომერია:
+995 (32) 2 91 91 68 (3151)

# რამდენად სანდოა წარწერა „დიეტური" - მომხმარებელზე ზრუნვა, თუ მოტყუება

(დასაწყისი პირველ გვერდზე)

ხოლო მას შემდეგ, რაც კონტროლი გამკაცრდა, ნებართვის კანონიერად აღების მსურველთა რიცხვიც გაიზარდა.

ამ ეტაპზე ექვსი კომპანიის განცხადების განხილვა მიმდინარეობს, გადაგზავნილი გვაქვს შესაბამის ექსპერტებთან და მათგან მიღებული დასკვნების შემდეგ მოხდება ამ კომპანიებისთვის თანხმობის, ან უარის თქმა," - ამბობს მარინა ზაიდაური.

ორგანიზაცია"მომავლის ფერმერის" ექსპერტი რუსუდან გიგაშვილი აცხადებს, რომ ეტიკეტზე წარწერის „დიეტური" ან „დიაბეტური" არასწორად გამოყენების შემთხვევაში, პასუხისმგებლობის მთელი ტვირთი გადადის მწარმოებელზე. თუმცა, სულ ახლახან, 15 ნოემბერს მთავრობის 577 დადგენილებით, შემუშავდა მიკვლევადობის ზოგადი პრინციპები სურსათში, ვეტერინარიასა და მცენარეთა დაცვაში. მკაფიოდ განისაზღვრა ბიზნეს ოპერატორის ვალდებულებები.

ამ დადგენილებით ბიზნეს ოპერატორი ვალდებულია, აწარმოოს ჩანაწერები პროდუქციის ისტორიის, წარმოშობის, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე.

კანონმდებლობით ერთმანეთისგან აღარ იმიჯნება მწარმოებელი და რეალიზატორი, სააგენტო ორივეს ბიზნესოპერატორს უწოდებს. თუმცა, თუ სარეალიზაციო დახლზე განთავსებული პროდუქტი შემოწმდა და არ აღმოჩნდა დიეტური, ჯარიმდება მწარმოებელი ბიზნესოპერატორი, მაღაზიის მეპატრონეს კი ჩანაწერები მოეთხოვება და თუ ეს ჩანაწერები არ ექნა, იმ შემთხვევაში ჯარიმდება" - ამბობს ექსპერტი.

„ნიკორას" შემთხვევაში ჩვენ ვნახეთ, რომ კომპანია ჩვეულებრივად აგრძელებს ე.წ. დიეტური მოხარშული ძეხვის რეალიზაციას. აღნიშნულ საკითხზე კომენტარის გასაკეთებლად დავუკავშირდით „ნიკორა"-ს მარკეტინგის მენეჯერს, ნონა ძნელაძეს და ვთხოვეთ, აეხსნა, თუ რატომ აგრძელებდა კომპანია დაჯარიმების შემდგომაც იგივე ეტიკეტით ძეხვის გაყიდვას. ნონა ძნელაძემ ჩვენთვის მოწოდებულ ინფორმაციაში აღნიშნა: „ტერმინი „დიეტურის" გამოყენებისსაკითხზე კომპანიამ რამდენიმე კვირის წინ მიმართა ჯანდაცვის სამინისტროს და წამოიწყო ნებართვის მიღებისათვის საჭირო პროცედურები. ამჟამად, კვლავ აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს განაცხადის განხილვის პროცესი და, შესაბამისად, კომუნიკაცია კომპანიასა და ჯანდაცვის სამინისტროს სამსახურებს შორის - ხდება პროდუქტის კალორაჟისა და შემადგენლობის შესახებ ინფორმაციის გაცვლა/შეთანხმება. პრობლემას ქმნის საკანონმდებლო ბაზის არასრულყოფილებაც - კერძოდ, ძეხვეულში ტერმინი „დიეტურის" განმსაზღვრელი პარამეტრების არარსებობა. აქედან გამომდინარე, ამ ეტაპზე, სამინისტრო მუშაობს შესაბამისი პარამეტრების დადგენაზე.

ჩვენი ვარაუდით, რამდენიმე დღეში იქნება მიღებული კონკრეტული გადაწყვეტილება, რასაც ბუნებრივია, ჩვენი მხრიდან დაუყოვნებლივ მოჰყვება შესაბამისი რეაგირება!"

საერთოდ, როგორ ხდება მწარმოებლის მიერ ნებართვის მოპოვება, ვის ევალება ყველა ზემოთაღნიშნული საკითხის კონტროლი და როგორ უნდა მოიქცეს მომხმარებელი,- ამ საკითხებზე კვლავ რუსუდან გიგაშვილი გვესაუბრა:

„რაც შეეხება ნებართვას, მას გასცემს ჯანდაცვის სამინისტრო და ეს რეგულირდება მინისტრის 301-ე ბრძანებით. ძირითადი შინაარსი ასეთია: ბიზნეს ოპერატორს, რომელსაც სურს, საკუთარ პროდუქტზე განათავსოს ტერმინები „დიეტური", ან „დიაბეტური", უნდა ჰქონდეს ჩატარებული შესაბამისი კვლევები და ყველა ამ მასალების საფუძველზე წერილობით უნდა მიმართოს ჯანდაცვის სამინისტროს. გამოიყოფა სპეციალური კომისია, რომელიც იკვლევს და ადგენს ბიზნესოპერატორის მიერ წარდგენილი მასალების ვალიდურობას, ამის შემდეგ გაიცემა სპეციალური ნებართვა, თუმცა, ამ ნებართვას ნომერი არ აქვს. ეტიკეტზე უნდა განთავსდეს იმ სტანდარტის შესახებ ინფორმაცია, რომელსაც მწარმოებელი იყენებს და რომელი სტანდარტიც სამინისტროსთან შეთანხმებულია. ლიცენზია სჭირდება მხოლოდ ბავშვთა და ჩვილთა კვებას. ამ შემთხვევაში, ეტიკეტზე დატანილი უნდა იყოს ლიცენზიის ნომერი.

აღნიშნული ყველა პროცესის მაკონტროლებელია სურსათის ეროვნული სააგენტო, ხოლო მომხმარებელი, რომელიც რაიმე საეჭვოს შეამჩნევს პროდუქტის ხარისხთან დაკავშირებით, აუცილებლად უნდა დაუკავშირდეს სააგენტოს ცხელ ხაზზე და დატოვოს ინფორმაცია".

მომხმარებელი, ანუ თითოეული ჩვენგანი, თავად უნდა ვიყოთ დაინტერესებული ჩვენი უფლებების დაცვით.

**მიაწოდე ინფორმაცია დარღვევებზე! დარეკე ცხელ ხაზზე: 2 91 91 68 (3070,3069,3067,3068)**

# რატომ არ უნდა შევიძინოთ პროდუქტი ქუჩაში

(დასაწყისი პირველ გვერდზე)

- ქალბატონო ეკატერინე, განგვიმარტეთ რა ჯარიმებია დაწესებული და რამდენად ეფექტურად მუშაობს დაჯარიმების ეს სისტემა, პრევენციული ზომების მისაღებად?

-სურსათის ეროვნული სააგენტო ატარებს შემოწმებას. არაგეგმიური შემოწმების მიზეზი შეიძლება გახდეს მომხმარებლის საჩივარი, ან აღებული ნიმუშის უარყოფითი შედეგი. თუ ინსპექტირების დროს, ადგილზე გამოვლინდა კრიტიკული დარღვევა (მაგ: არ არის წყალი, დარღვეული ტემპერატურული რეჟიმი, მძიმე სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა), კომპანია ჯარიმდება 1000 ლარით და უწყდება საქმიანობა.

ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მდგომარეობა არ არის მძიმე, ბიზნეს ოპერატორს ეძლევა მითითებები და მათი შესრულებისათვის გარკვეული დრო.

აღნიშნული დროის გასვლის შემდეგ, მითითებების შეუსრულებლობა იწვევს ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 400 ლარის ოდენობით. კვლავ ეძლევა ვადა, ხოლო თუ ამ ვადის გასვლის შემდეგაც არ გამოასწორა მდგომარეობა, ჯარიმდება 1200 ლარით.

- სამწუხაროდ, ჩვენ ვხედავთ, რომ მდგომარეობა ხშირად სავალალოა, რამდენად ითვალისწინებენ მწარმოებლები თუ მაღაზიის მფლობელები სახელმწიფოს ამ მოთხოვნას?

- იქიდან გამომდინარე, რომ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ კონტროლი გახშირდა და გამკაცრდა, ბიზნესოპერატორები ბევრად უფრო მობილიზებულები არიან, ასრულებენ რეკომენდაციებს, რათა არ დაჯარიმდნენ. მომხმარებელიც უფრო მომთხოვნი გახდა და ეს ყველაფერი, მდგომარეობის საგრძნობლად გაუმჯობესებას უწყობს ხელს.

- თუმცა ფაქტია, რომ გასაყიდ წერტილებში ჰიგიენური ნორმების დაცვა ჯერ კიდევ პრობლემად რჩება

- ვეთანხმებით, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნე, ეს გარემოება არ არის მხოლოდ სახელმწიფოს, მაკონტროლებლის საზრუნავი. თავად მომხმარებელმა არ უნდა შეიძინოს პროდუქტი ქუჩაში, მაღაზიაში, სადაც არ არის დაცული ტემპერატურა, სისუფთავე. ეს თავად სავაჭრო ობიექტების მფლობე-



გადაამოწმეთ წარწერა „დიეტური„

ყოველთვის გადაამოწმეთ, არის თუ არა თქვენ მიერ შეძენილი სურსათი, რომელსაც აქვს წარწერა „დიეტური", „სამკურნალო" და სხვა მსგავსი პროდუქტი, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული ნებართვების სიაში! შეამოწმეთ და ეწვიეთ ვებ გვერდს: **http://www.moh.gov.ge/Index.php?lang_Id=GEO&sec_Id=706**
და თუ სურსათი ამ სიაში არ აღმოჩნდა, დარეკეთ ცხელ ხაზზე:

**(032) 2 91 91 68**

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი GRMA SWEDEN

გვერდი მომზადებულია „რეგიონული მედიის ასოციაციის" მიერ ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის დაფინანსებით, ევროკავშირისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს გრანტების ფარგლებში. მასალის შინაარსზე პასუხისმგებელნი არიან ავტორები. სტატიები არ გამოხატავს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის, ევროკავშირისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ოფიციალურ პოზიციებს.

# „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა" კარცერლუქსით ოზურგეთსაც „დაემუქრება"



ოზურგეთის თეატრში პრემიერამზადდება, რომელზეც წლის ბოლო დღეებში მოგიწვევთ. **ჩვენს ქალაქს ორი საინტერესო შეხვედრა ელის: მწერალ გურამ დოჩანაშვილთან და ქართული თეატრისა და კინოს ცნობილ მსახიობთან, ზურაბ ცინცქილაძესთან. იგი მოწვეულია ვასიკო კეჟერაძის როლზე. ასევე ამ პერსონაჟს ითამაშებს მსახიობი ზვიად ჯორბენაძე.** სპექტაკლში დაკავებული არიან გიორგი დოლიძე, ირაკლი ვადაჭკორია, ვახტანგ ჩხარტიშვილი, ანი გოდერძიშვილი.

რეპეტიციები მიმდინარეობს ზურაბ ცინცქილაძესთან ერთად, რაც თავისთავად მასტერ კლასებიცაა.

**ზურაბ ცინცქილაძე:** „– გურამ დოჩანაშვილის მოთხრობა „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა" თანამედროვეობასთან ადაპტირებული და განსცენირებულია ზურაბ კანდელაკის მიერ. ეს გენიალური მოთხრობა იძლევა იმპროვიზაციის საშუალებას და არც ერთი ნათამაში სპექტაკლი მეორდება.

ჩემთვის საამაყოა, რომ მწერალმა ხუმრობით თანაავტორად მომიხსენია, ეს მეტს მავალებს. მასთან დიდი ხნის ურთიერთობა მაქვს."

„კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა" 2016 წლიდან შეტანილია სასკოლო პროგრამაში. ბატონი ზურაბის სიტყვებით ეს სპექტაკლი ამ მხრივათაც საინტერესოა, რომ არაფერი ვთქვათ თავად მოთხრობის პერსონაჟზე, რომელიც ბევრი საინტერესო აზრით გვანებივრებს.

პიესა არის ერთმოქმედებად. დამდგმელი რეჟისორი – ვასო ჩიგოგიძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რეჟისორი – ოთარ კუტალაძე.

**ვასო ჩიგოგიძე**, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი: „– იდეა ამ სპექტაკლის ჩვენეულად დადგმისა ეკუთვნის მსახიობ ზურაბ ცინცქილაძეს.

ჩვენს სპექტაკლში კეჟერაძე თავისებური დონ კიხოტია. ის არ ებრძვის ქარის წისქვილებს, მაგრამ ის ებრძვის უვიცობას, უწიგნურობას, შეყვარებულია წიგნში და უნდა ყველანი მოაქციოს წიგნიერად. გენიალურია მისი იდეა კითხვის არმოყვარულთათვის „კარცერლუქსის" მოწყობის შესახებ. მისი დატვირთვა არის წიგნის არმოყვარულს არაძალდატანებით, მაგრამ შეუქმნა პირობა ადამიანს მივიდეს წიგნამდე, რაც არ შედის ბიბლიოთეკის ფუნქციაში.

პირველი „კარცერი ლუქსი" ბათუმში, მოსწავლეთა სასახლეში გაიხსნება, სადაც გაიმართება ჩვენი სპექტაკლის ჩვენება. მანამდე პრემიერა შედგება ოზურგეთში, დეკეკემბერში.

თეატრში ზამთრის გაუსაძლისი პირობების გათვალისწინებით პრემიერა და პირველი სპექტაკლები გაიმართება მცირე სცენაზე, სადაც დავდგით გამათბობელები ჩვენი მეგობრების მხარდაჭერით. ხოლო გაზაფხულზე სპექტაკლი გადაინაცვლებს დიდ სცენაზეც.

დიდი მადლობა ოზურგეთის თემთა მუნიციპალიტეტის ხელმღვანელებს, ბატონებს **მერაბ ჭანუყვაძეს** და **დავით დარჩიას,** გამგეობასა და საკრებულოს. აღნიშნული სპექტაკლი მზადდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის და საკრებულოს ფინანსური მხარდაჭერით. დამფინანსებლის წინადადებიდან გამომდინარე სპექტაკლები გაიმართება არამარტო თეატრის სცენაზე, არამედ მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში მოთხოვნის შესაბამისად"

ასე, რომ, კეჟერაძე ყველასოფელს ეწვევა. გაინტერესებთ ვინ მოხვდება კარცერლუქსში? არ გამოტოვოთ მასთან შეხვედრის დღე.

სპექტაკლის გამოშვების ვადაა - არაუგვიანეს 2015 წლის 27-28 დეკემბრისა.

**ლია კილაძე,**
თეატრის საზოგადოებასთან
ურთიერთობის
სამსახური

### გურამ დოჩანაშვილის ახალი რომანის აუდიო ვერსია მზადდება

მწერლისა და მსახიობ ზურაბ ციცქილაძის საინტერესო თანამშრომლობის კიდევ ერთი პროდუქტი მზადდება და უახლოეს ხანში გამოვა ბატონი გურამ დოჩანშვილის ახალი რომანის „ბრმადყოფილი" აუდიო ვერსია, ზ. ცინცქილაძის შესრულებით.

მსახიობმა გაგვიმხილა, რომ რომანში გავეცნობით ადამიანს, რომელსაც თვალები იესოსთან შეხვედრის შემდეგ აეხილა.

## სკანვორდი



ქართული ცეკვა
სამხედრო ფორმის ქურთუკი
ცენტრალური მცველი
მესამე პირის ნაცვალსახელი
გაზაფხულის მახარობელი ფრინველი
ბეგარა
რძის ნაწარმი
თავხედი
ესპანელი ფეხბურთელი
თბილისური ჟარგონი
გაწყალებული ღვინო
ინგლისელი ფეხბურთელი
ბუდეში ჩატოვებული კვერცხი
ქართული ლიმონის ჯიში
თმის ბუნებრივი საღებავი
გარეული ვირი
არაბული ფაფა
ბალზაკის სახელი
შავი ქარვა
ძალიან დიდი
მდინარე აფრიკაში
ჭურის თავსახური
ფლოტის უფროსი აღმ. ქვეყნებში
იაპონური ხის ფეხსაცმელი
ტელეკომპანია
ძგიდე
მტაცებელი ფრინველი
სასჯელის სახეობა
ესპანური საფეხბურთო კლუბი
რუმინული კლუბი
თამადის თანაშემწე
უშვილო

## №48-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – ნოდარ დუმბაძე; ვაჟი – ძე; ქალაქი იმერეთში – ბაღდათი; საგრაფო ჩრდილოეთ ირლანდიაში – არმა; მელექსე – პოეტი; გადასაადგილებელი საშუალება – ტრანსპორტი; ძველი სასულიერო აკადემია – იყალთო; სოფელი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში – აცანა; გაზაფხულის ყვავილი – ია; ისტორიული ოლქი ესპანეთში – ანდალუსია; მუსიკალური ინსტრუმენტი – ჩანგი; ... თუთაშხია – დათა; დიახ – კი; ჰაგიოგრაფიული ჟანრი – მეტაფრასი; გადამხდელის თანხმობა – აქცეპტი; ნავსადგური – პორტი; თვითმფრინავის კიბე – ტრაპი; ხეხილი – ატამი; ცურვის სტილი – ბრასი; ნორვეგიის დედაქალაქი – ოსლო; პირდაპირი (ტელევიზიაში) – ლაივი; ციტრუსის სამირე – ტრიფოლიატე; ძვირის ანტიპოდე – იაფი; სასკოლო ინვენტარი – რვეული; ციხის საბანი – ნარი; კუჭ-ნაწლავის მწვავე ანთება – დიარია; გარეული ცხოველი – ლამა; ... ანრი – ტიერი; მარტოხელა – ეული; სოფელი სვანეთში – უშგული; ლოცვის დასასრულს სათქმელი სიტყვა – ამინ; დედამიწის ღმერთი – გეა; ევროპისა და აზიის გამყოფი ქედი – ურალი; რელიგია – ისლამი; იაპონური ტურბინის გამომგონებელი – სეგნერი; ზურგის ტვინის ანთება – მიელი; ფერი – გამა; ივანიშვილის ვაჟი – ბერა; ნადირობის ქალღმერთი – დალი; დაბა ახალციხეში – ვალე; სხვის ბუდეში კვერცხისმდებელი – გუგული.

ისტორიის ფურცლებიდან

# ეპოქა ფირალთა ზეობისა

რუბრიკას უძღვება ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი მანანა მემარნიშვილი

## მხარის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ყოფა ფირალთა ზეობაში

(გაგრძელება) დასაწყისი იხილეთ №31, 3 აგვისტო, 2015 წელი

ასეთი იყო ძველი დროის გურია, მისი სოფლები,დაბები, დასახლებული პუნქტები. ასეთი იყო თვით დედაქალაქი მხარისა პურ-ღვინითა და სიუხვით სავსე. რუსული ხიშტის ძალისხმევით წაგვრილი და მოვერანებული, სატახტო გურიელისა ჭირნახულის, მოსავლის, ნაყოფიერების ღვთაებას - აგუნას, ღვინის დედას ძალუმად დაებერტყა მისთვის სიუხვის კალთები.

ყურძნის დიდებული ხე-ვაზი თუ ვენახი ,,ნაირ-ნაირი'' ჯიშისა და მისი იშვიათი ნაჟურით სტუმრისთვის საკადრისი დახვედრა გურულისათვის უფლის მიმართ აღვლენილი სადიდებლის ტოლფასი იყო. ,,ყაბალახწაკრული'' მკვირცხლი, კისკასი, და ნაკითხი მოდგმის ღირსეული ნაშიერი ღვინოს ეფერებოდა, ებაასებოდა, ეპასუხებოდა, სულ მუდამ სტუმარს მოელოდა, სულ მუდამ სტუმრის ხოტბა ედგა თვალწინ, რადგან სტუმარი ღვთისა იყო, ხოლო გურული ღვთის თავგამოდებული მორწმუნე. სად ეცალა ტყეში გავარდნისა და ფირალობისათვის, ცეცხლივით ღვინო ჰქონდა დასალევი და ზეცის თალს აწვდენილი ,,კრიმანჭული'' სათქმელი.

მეღვინეობით განთქმულ გურიის სოფლებში განსაკუთრებით წარმოჩინებული იყო დიდი გაბრიელ ქიქოძის სამშობლო ბახვი, ცნობილი სახელწოდებით სადარი ბერძნულ-რომაულ ,,ბახუს - დიონისეს'' კულტისა. იგი იჩემებდა ამ მხრივ უპირველესის სახელს და შესაბამისი საფუძველიც გააჩნდა.

ბახვის წყლის კალაპოტიდან იწყება სოფელი, ბახვის სერები ვაზებით შეფენილი, მისი თვალწარმტაცი ბუნება. ,,საათის 6-ზე, გვაუწყებს პატივცემული მკვლევარი, უკვე შუაგულ ბახვში ვიყავით. სოფლის გზის ერთ მხარეს თხილის ბუჩქებია ჩარიგებული, მეორე



მხარეს ჩაუდის კარგა მსხვილი რუ, რომელიც უხვადა რწყავს სოფლის ბაღებსა და ვენახებსა. . .

მწვანე ხასხას მდელოთი მოსილი ეზოს ჭიშკარში შევედით. აქ იყო ჩვენი მასპინძელი. ოთხ-ხუთ დღიურის სივრცეს ეზო ვაზებიანი ხეებითაა მოფენილი. . .

გაეხარდა სტუმართ მისვლა,- მერე უცხოთა. გაგვიმასპინძლდა გურულად, გულუხვად. გემო გვაჩვენა ცნობილი გურული ჯიშის ყურძნის ,,მტევანდიდის'' წვენისა.

ბახვი ძველთაგანვე იყო ცნობილი და ნაქები თავისი კარგის ღირსების ღვინითა. . . აქ ადრე ვენახები ცალკე ყოფილა მიშვებული. პატრონები თავის ვენახებს 10 და 15 კილომეტრითა ყოფილან ხოლმე ხანდახან დაშორებული. აკეთლებსაც ქონიათ ძველ დროში აქ ვენახები და მარტო ყურისმგდებლები ეყენათ, თვითონ პატრონები მხოლოდ რთველის დროს მოდიოდნენ. რაკი მოსავალი დიდი იცოდა, მაშინ ვაზებმა, საწნეხლებიც დიდები ჰქონიათ, რასაც შემდეგი გარემოებაც ამტკიცებს:

დარაჯს ვენახის ყურის გდებისათვის ქირას არ აძლევდნენ, ქირაში ღვინო ეძლეოდათ გასამრჯელოდ.

ყურძენს რომ დაწურავდნენ და ქვევრებში ჩასხმას რომ დაიწყებდნენ, საწნახელის წამოყირავებამდე ღვინო რაც გამოვიდოდა, პატრონისა იყო, მერე კი-დარაჯისა. დარაჯს ოცდაათი საწყავი ღვინო (60 ფუთი) მაინც ერგებოდა.

(გურიაში) მაშინ ღვინო ბევრი ყოფილა. მსმელებიც გაწვრთნილი და მემარნეებიც- გამოცდილნი. გურიელს ერთი მეღვინეთუხუცესი ჰყოლია, გვარად ანთაძე, კაცი მეტად დახელოვნებული ღვინის ღირსების გამოცნობაში, რითაც თავი დიდად მოჰქონდა გურიელსა. ერთხელ სასახლეში უცხო სტუმართან ჩამოვარდნილა მის შესახებ ლაპარაკი და გადაუწყვეტიათ, გამოვცადოთო. აურევიათ ერთმანეთში სამ ნაირი ღვინო: 2/5 ფერსათული, 2/5 ოსეთური და 1/5 ჩაქვური.

მოუხმიათ მეღვინეთუხუცესი ანთაძე, და უთქვამთ გამოიცანიო. იმასაც, გემო უნახავს თუ არა, შემდეგი პასუხი მოუხსენებია მთავრისათვის:

ფერად - ფერსათულიაო,
გემოდ - ოსეთურიო,
ცოტას მოიჩაქურებსო.

სოფელ ბახვში გავრცელებული მეღვინეობისა და მაღალ მოსავლიანი ხეხილის შესახებ გაზ. ,,კვალი'' 1895 წელს წერდა: განსაკუთრებული ,,. . . ყურადღების ღირსია აქაური სოფლის ბაღი, რომელიც მასწავლებლების ხელმძღვანელობით შეგირდებისაგან არის შემუშავებული, იგი სავსეა სხვადასხვა გვარის უცხო ჯიშის ხეებით და ხეხილებით. ამ ბაღში არის ვენახი, რომელიც იალტის საბაღოსნო სკოლიდან გამოწერილი საუკეთესო ჯიშის ვაზები არის გაშენებული. ადგილობრივი ჯიშის ვაზი ჩხავერიც არის (მოშენებული). ათი თხუთმეტი წელი იქნება რაც გურიაში ჩხავერი აღარ ხარობს, მაგრამ ახლა კი დარწმუნდა ხალხი, რომ მხოლოდ მეცადინეობაა საჭირო. ყველა ეს გარემოება რასაკვირველია დიდ გავლენას ახდენს ხალხზე. . .

გურული ვაზის ჯიშების შესახებ ექვთიმე თაყაიშვილი ერთგან მიუთითებს: ,,ჩხავერი დეკემბერ იანვარშიც კი მინახავს ხეზე, თეთრი კამურის ერთი ჯიში იყო, ისიც თუ გურული ვაზის ჯიშების კლარჯულის, ჩხავერის, თეთრი კამურის, მტევანდიდისა და სხვათა იშვიათი ,,შემრგო გემოიან სუნიანი ღვინით'', გურიელის სუფრას ძალზე ხშირად შეკაზმული მოსათალი ბეჭი ამშვენებდა, მდინარეთა მეფე კალმახთან ერთად. მაშინ პირუტყვ-საქონელიც მრავლად ჰყოლიათ მოშენებული, მხარის მკვიდრეულ მოსახლეობას. მესაქონლეობა მყარ ნიადაგზე იდგა გურიაში და ტყეში ფირალად გავარდნის შესაძლებლობის მოტივი. აქედანაც გამორიცხული იყო.

ღვინის დედად ,,აგუნა'' ითვლებოდა გურიაში. მესაქონლეობის მფარველ ღვთაებად ,,ბოსლე''.

,,ბოსლობა'' დღესასწაული მოძრავი - როგორც გურიაში უწოდებდნენ ,,მღოღავი'' იყო. საქონლის ბატონისადმი მიძღვნილი (ეს წარმართული) რიტუალი დიდ მარხვამდე 17 დღით და აღდგომამდე 57 დღით ადრე ყველიერის წინა შაბათს აღინიშნებოდა.

ბოსლობას - ,,ბოსლე ბატონისა'' და საქონელ ფრინველის პატივსაცემად ძველ გურიაში ლოცვაც დიდებული იცოდნენ და სუფრაც მშვენიერი ჰქონდათ. სუფრა საღამოს გაწყვებოდა გრძელ, დაბალფეხებიან მაგიდაზე ელაგა:

დოქით ღვინო და არაყი.

მჭადი, ღომის ან ღერღილის ღომი, ხაჭაპური, იაფოფხი - მუხუდოს ფქვილის ნამცხვარი

ყოველგვარი ხორცი, შემწვარი გოჭი, კუპატები, შაშხი, ყველი კვერცხი,

მწნილები, მოხარშული და შემწვარი კვახი, ხაპი და ხაპერა, ქონიანი მჭადი, რომელიც ცალკე იდო გობზე, იგი წმინდა ბოსლეს კუთვნილება იყო. მჭადი ღორის მუცელზე (ანაღები) კეც-კეცად ანაღები ნაჭრებით იყო სავსე. მჭადი ბოსელში შეჰქონდათ და ბოსლის სადიდებელს ამბობდნენ; მფარველობას სთხოვდნენ

,,იხსენი ჩვენი საქონელი ჭირისა და ფათერაკისაგან,
ნადირის კბილისაგან
ძვალი ტვინით გუუვსე
ტყავი ხორცით გუუვსე
ჯიქანი რძეით გუუვსე
- ოჯახი ოქრო ვერცხლით გამივსე

— მამა ზეციერო! ცაში ვარსკვლავი ზღვაში ქვიშა, ეწერში გვიმრა. ჩვენსას ბევრი საყოლი, რქოსანი და ურქო საქონელი. . . ბევრი ფრინველი ქენი, ღმერთო! ჩემს საქონელს მკბენარა-მჭამელი აშორე, ბუზმაც არ შეაწუხოს, გამიმრავლე და კარგად მიმყოფე.

- მომიმრავლე:
- ცხენები - ჯოგად,
- ძროხები - ჯოგად
- ცხვარი და თხა - ჯოგად,
- ღორები - ჯოგად,
- ქათმები - ჯოგად,

ასი დედალი, ასი მამალი, ასი მისი მოჩხოროზი ასი სული ხარი, ასი სული ძროხა, ასი სული ცხენი, ასი სული ცხვარი, ასი სული თხა.

გურული გლეხის გარჯითა და ,,ბოსლე ცხოველთ ბატონის წყალობით'' გურიის მკვიდრთა ურქო და რქოსანი საქონელი მრავლად იყო შეფენილი გურიის მთათა კალთებზე, მის დედა მდინარეთა და მათ მცირე შენაკადთა ჭალებში.

ყურადსაღებ მოხსენებაში: გურიისა და ლაზისტანის საზღვართა მიმოხილვა: რომელიც 1875 წლის დეკემბერში იქნა წაკითხული კავკასიის სამხედრო ოლქის გენერალური შტაბის ოფიცერთა ოფიციალურ შეკრებაზე, აღნიშნულია:

გურიის უმთავრეს მდინარე სუფსას მდინარე რიონის ,,ბასეინიდან'' გამოჰყოფს ,,ქვაფორჩხილას მთები'', რომელსაც უწოდებენ ამავე დროს ჩოხატაურის მთებს... მიმდინარე 1875 წელს ერთ სახაზინო ველზე ამ მთებისა, იმყოფებოდა მსხვილი რქიანი პირუტყვი 40 000. ცხვარი 18 ათასამდე, მაგრამ სახაზინო სამწყემსური მინდვრებისა, გურიის მთაგორებზე არა ნაკლები სიდიდის არის თავად დიმიტრი გურიელის და თავად დიმიტრი ერისთავის (საქონელი), რომლებზედაც სძოვს არა ნაკლები რაოდენობის (40 000 სული) პირუტყვი.

გარდა ,,ძლიერთა ამა ქვეყნისათა'': გურიელების და ერისთავებისა, განა გურულ გლეხს მცირე რაოდენობის რქოსანი და ურქო პირუტყვი ჰყავდა?

ყოველ კალანდას გურულის ოჯახში თითო ღორი იკვლებოდა კომლზე. ,,საფირალო ეპოქაში'' გურიაში 8 ათასი კომლი ითვლებოდა. კომლი ყველაზე უმცირესს, შვიდ სულს მოითვლიდა. თითო სულზე აუცილებლად თითო ქათამი იყო გათვალისწინებული, აღარას ვიტყვით დანარჩენ ,,სუფრის მოწყობილობაზე'': ,,გაჭირვებულ'' და ,,დღემოსწრებულ'' გოგია უიშვილის ,,საკალანდო სუფრის'' გაწყობა ალბათ დღეისათვის ,,სოროსის'' აღიარებულ ფონდსაც გაუჭირდება, რაც მაშინ ,,უბრალო'' გურული გლეხისათვის ,,ერთი დამთქნარება'' იყო.

ქათამი ოცი კაპიკი ღირდა,

12 ცალი ,,გადაზელილი ყველი'' (სულგუნი) 1 მანეთი დღეისათვის ათასნაირი ფერებით შეფენილი, დაკლული და შესაბრალისად ,,ფეხებ აფშეკილი ქათამი'' 6 მანეთს ფასობს. ექვს მანეთად მაშინ სამი ფუთი ზუთხის ყიდვა შეიძლებოდა, დღეისათვის სამი ფუთი ზუთხი ,,ნისან პატრულის'' მარკის მსუბუქი ავტომანქანის ტოლფასია.

ყოველ ,,ქრისტეს შობა'' დღესასწავლს გურიაში, ნათლიასთან ნათლული '' ,,საშობაო ძრვენს'' მიიტანდა.. 40 ან 60 კვერცხიანი ღვიძელში (ღვეზელი) ,,თექვსმეტი შემწვარი შაშვი იყო ჩაწყობილი და წრედ შემორკალული.

8 ათას კომლს 8 ათასი ნათლია მაინც ესტუმრებოდა ,,8 ათასჯერ სამოცი'' ციფრი ციურია, ამასთან თითო სულზე ოჯახში თითო ,,სამ კვერცხიანი ღვიძელი'' ცხვებოდა და ერთიც ,,დედო ღვიძელი''. აღნიშნულიდან გამომდინარე ,,ასი დედალი, ასი მამალი, ასი მისი მოჩხოროზი.

დღეისათვის ,,სააღდგომი კვერცხი'' 25 თეთრს ფასობს. მაშინ ერთი ფუთი სიმინდიც ,,გამხმარი 25 კაპიკს ფასობდა.

ნათლიის მიერ ნათლულისადმი მისართმევ ძღვენში გარდა ,,60 კვერცხიანი ღვეძელისა'' შედიოდა: სანთლის არაყი ერთ ფუთამდე საუკეთესო ჩხავერის ღვინო.''

კორესპონდენციაში: ,,შობა გურიასა და რაჭაში'' გაზ. ,,ივერია'' წერდა: ,,შობა წინა საღამოს (გურიაში) ერთი მეორისას ძღვენის მიტანა იციან, რომელსაც ,,საშობაო ძღვენს'' ეძახიან. მომეტებულ ნაწილად ძღვენი მიაქვს ნათლიმამას ნათლიასთან და ახალ გათხოვილ ქალს თავის მშობლებთან. ძღვენს შეადგენს:

ერთი მოზვერი, ან თხა, ან ცხვარი
ორი ქათამი... სავალდებულოა...
ერთი საწყავი (2 ფუთი) ღვინო.
6-12 ხაჭაპური.

შეძლებულ კაცს განსაკუთრებული მეძღვენე მოჰყავს, ღარიბი კი თითონ აიკიდებს (ძღვენს) ზურგზე (პატარა გოდრით) გორიცით.

**ენვერ გოგუაძე**

---

სულთათანა

# აქ დასაწყისი ყოფილა მხოლოდ



ოცდაერთი დეკემბერი შენი დაბადების დღეა. ახალგაზრდამ, ოცდათვრამეტი წლისამ დატოვე ეს ქვეყანა.

ერთადერთი ტკივილითა და სიხარულით სავსე წელი და ნუთუ ამით ყველაფერი დასრულდა?

*წახვედი და მიმატოვე,*
*გამიჩინე გულში სევდა.*
*ამის შემდეგ მონატრებას*
*შენსას, ჩემში რა დალევდა.*

ძალიან მიმძიმს, დრომ ვერ განკურნა უშენობა.

*თეთრი რაშის დამკარგავი,*
*როგორც გაძლოს თეთრმა გედმა.*
*ჩვენ ერთმანეთს დაგვაშორა,*
*არ დაგვინდო, გვიმტრო ბედმა.*

მაგრამ იმედს არ დავკარგავ, მჯერა, რომ კვლავაც არსებობ.

*ახლა მაღლიდან მიცქერენ*
*შენი ზღვისფერი თვალები.*
*უკიდეგანო სივრცეში*
*დაფრინავ და მემალები.*

მწამს, რომ ოდესმე იმქვეყნიურ საქართველოში შევხვდებით.

*შენი სული სამოთხეში*
*უზრუნველად ცოცხლობს ახლა.*
*საუკუნო ცხოვრებაში*
*გამახარებს ისევ ნახვა.*

**შენი ნანა.**

გაზეთ ,,ალიონის'' რედაქცია თანაუგრძნობს ნანა, ამირან, სპარტაკ მამულაიშვილებს მეუღლისა და სიძის **თამაზ მოსეშვილის** გარდაცვალების გამო.



ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული თეატრი გილოცავთ დამდეგ შობა ახალ წელს!

2016 წელს ჩვენი შემოქმედებითი კოლექტივი ჩვენს პატარებს, უფროსებს კვლავაც გაახარებს ახალი ლამაზი სპექტაკლებით.

გისურვებთ ლამაზი ოცნებების ასრულებას. ახალი წელი ყოფილიყოს სიკეთის, ხვავის, ბარაქის მომტანი. უფლის მადლი და წყალობა არ მოგკლებოდეთ!

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული თეატრის კოლექტივი. ღ



ჩემო ოზურგეთელებო! გილოცავთ დამდეგ შობა-კალანდას!

გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სიხარულს, სიყვარულს, შვილთა სიმრავლეს, ერთიანობას.

უფლის მადლი და წყალობა არ მოკლებოდეს თქვენს ოჯახებს.

გოჩა მგელაძე,
ქალაქ ოზურგეთის საკრებულოს ფრაქცია „დამოუკიდებელი დეპუტატების“ თავმჯდომარე.



ოზურგეთელი ენერგეტიკოსები გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

გისურვებთ ნათელ მომავალს, ერთმანეთის სიყვარულს, პატივისცემას. უფლის მადლი და სიკეთე არ მოგკლებოდეთ.

„ენერგო პრო ჯორჯიას“
ოზურგეთის სერვისცენტრი.



შპს „გზამშენი 18“
გილოცავთ დამდეგ შობა ახალ წელს!
გისურვებთ ბედნიერებას, სიყვარულს, სიკეთეს.
უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ.
მშვიდობიანად გვყლოთ საქართველოს გზებზე.

შპს „გზამშენი 18“-ის კოლექტივი.

# საშობაო - საახალწლო საჩუქარი ოზურგეთელებს!



26 დეკემბერს ქალაქ ოზურგეთში, ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატის, საქართველოს პარლამენტში უმრავლესობის ლიდერის, **ზვიად კვაჭანტირაძის** პირადი ინიციატივითა და უშუალო ხელშეწყობით, ქ. თბილისში სამი სამედიცინო ცენტრის მმართველი კომპანიის მიერ (მთავარი ექიმი დიმიტრი ტოკლიკიშვილი) ქალაქ ოზურგეთისა და მუნიციპალიტეტის თემების მოსახლეობა უფასო სამედიცინო მომსახურებით ისარგებლებს.

მაღალკვალიფიციურ ექიმთა ჯგუფი მოსახლეობას უფასო კონსულტაციებს შემდეგი მიმართულებით გაუწევს:

კარდიოლოგია; ალერგოლოგია; თერაპია; ნევროლოგია; რევმატოლოგია; ონკოლოგია; გინეკოლოგია; პედიატრია; ენდოკრინოლოგია; უროლოგია.

მისამართი: ქ. ოზურგეთი, ჩოხატაურის ქ. № 20. სამედიცინო - დიაგნოსტიკური ცენტრი „ საამქიმო“.

**გთხოვთ მობრძანდეთ !**

პატივისცემით,

ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატის, ზვიად კვაჭანტირაძის ბიურო. ღ

# ავტომობილები განვადებით





## ავტომობილები განვადებით

„იმპორტი-2 გთავაზობთ ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირებას აშშ, ევროპის და იაპონური (მარცხენა საჭე) სადილერო კომპანიებიდან და აუქციონებიდან. ასევე ავტო განვადებას: პირველადი შესატანი ღირებულების 40%, დარჩენილი თანხა გადანაწილდება მაქსიმუმ 36 თვეზე. ასევე მოქმედებს შიდა 0% განვადება. უპრეცენდენტოდ დაბალი ტარიფები მომსახურებაზე და ტრანსპორტირებაზე. უფასო კონსულტაცია.

ტელ 595 11 10 30, ზურა, მისამართი: 26 მაისის ქ.№11ა. რ

# 7 დღის ამინდის პროგნოზი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| წვიმა +6+8 | მზე, ღრუბელი +8+13 | წვიმა +7+13 | წვიმა +10+13 | მზე, ღრუბელი +6+15 | მზე, ღრუბელი +7+12 | მზე +7+15 |
| 21 დეკემბერი ორშაბათი | 22 დეკემბერი სამშაბათი | 23 დეკემბერი ოთხშაბათი | 24 დეკემბერი ხუთშაბათი | 25 დეკემბერი პარასკევი | 26 დეკემბერი შაბათი | 27 დეკემბერი კვირა |